

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90
წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა
Anniversary edition dedicated to the 90th anniversary of
Akaki Tsereteli State University
Юбилейное издание, посвященное 90-летию Государственного
университета Акакия Церетели

ISSN 2346-8467

აგრო
AGRO
АГРО
NEWS

№10

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2023

ჟურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

სანთელაძე ნატალია- (სწავლული მდივანი);

წევრები: პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; ხასაია იზოლდა; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩახხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კეკელიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; ბენიძე ეთერი; ჟორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

ჩუხნო ინა (უკრაინა); გოგთურქ თემალი (თურქეთი); თურგუტ ბულენტი (თურქეთი); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სადინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza– (Editor in Chief);

Santeladze Natalia– (Academic Secretary);

Members: Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Khasaia Izolda ; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; Xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Benidze Eter; Zhorzholiani Tsira; Dumbadze Guguli; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Chuxno Inna (Ykraine); Gokturk Temel (Turkey); Turgut Bulent (Turkey); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Сантеладзе Наталия – (Ученый Секретарь);

Члены: Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Хасая Изольда; Чабუкиანი Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чახჩიანი-ანასაშვილი ნუნუ; დობაია თამარ; Кубანეიშვილი Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Бенидзе Етер; Жоржوليани Цира; Думбадзе Гугули; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Чухно Инна (Украина); Гоктурк Темал (Турция); Тургут Булент (Турция); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)

თამილა არდემანაშვილი, ინგა გაფრინდაშვილი, ნანა ჯაბნიძე – კლიმატური ცვლილებების გავლენა აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე გავრცელებული ბუტია პალმის ტექნიკურ მახასიათებლებზე _____	9
ნინო კვლენჯერიძე, ნატალია სანთელაძე – ნიადაგური კვლევები დაფნის კულტურის გავრცელებისთვის (კახეთის რეგიონი, საქართველო) _____	12
როლანდ კოპალიანი, ანდრო ხეთერელი – “ფიზალისის (<i>physalis peruviana</i>) გავრცელების პერსპექტივები საქართველოში _____	16
Roland Kopaliani, Nino Kipiani – Results of Phenological Observation of Hybrid Relatives Obtained by Crossing with Spontaneous Mutants of Lemon Meyer Trifoliolate _____	20
როზა ლორთქიფანიძე, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, გიორგი იაკობაშვილი – ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ქლიავის (<i>Prunus domestica</i>) სამრეწველო წარმოება იმერეთის რეგიონში _____	23
ნინო მარგველაშვილი – მიღწევები ცხოველთა ტრანსგენეზში _____	26
მაკა ყუბანეიშვილი – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო - სამკურნალო მცენარეები _____	36
ნანა ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე, ლაშა ზოიძე, ხათუნა ბოლქვაძე – აბორიგენული საღვინე ვაზის ჯიში „საწურის“ ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები ქედის მუნიციპალიტეტის პირობებში _____	42
ჯინჭარაძე ნატალია – ტუნგის ხე – ცხიმ-ზეთოვანი კულტურა, მისი აგროტექნოლოგია და სამრეწველო დანიშნულება _____	47
Tristan Jobava – Results of Studying the Intensity of Photosynthesis, Respiration Activity, Pigments and Sugars in Leaves of Lemon Dioskuria According to Periods _____	52
თამარ ხუციძე – ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის ხსნადი ექსტრაქტის სამკურნალო მეთოდები ინფიცირებული, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისათვის _____	56

ნუნუ დიაკონიძე, ნინო ხონელიძე – ქუთაისის ბოტანიკური ბაღის
ფლორის გვიმრები _____ 61

ნანა გოგიშვილი – საქართველოში გავრცელებული ტყემლის ჯიშური ფორმების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა _____	71
ნანა გოგიშვილი – შრომის უსაფრთხოება ტურიზმის სფეროში, გამოწვევები, პრობლემები _____	78
ლუიზა გორგოძე, მარინა კუცია – ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახის ზოგიერთი იშვიათი, გადაშენებადი და ენდემური სახეობების ex-situ კონსერვაცია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მათი გამოყენება დეკორატიულ მეზალოგიაში _	83
ეკატერინა გუბელაძე – ზოგიერთ ლამაზად მოყვავილე მერქნიანების ყვავილობა ქუთაისის ბაღებსა და სკვერებში _____	94
სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, შორენა კაპანაძე – სატრაქტორო აგრეგატის კინემატიკის ზოგიერთი საკითხი ფერდობული მიწათმოქმედების პირობებში _____	101
ეკატერინე კახნიაშვილი – მცენარეული ნედლეულით ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების ამაღლება _____	107
ზაზა პაპიძე, შორენა ფხაკაძე – ინვერტორების როლი მზის ელექტროენერგეტიკული სისტემების გამართულ მუშაობაში _____	112
იზა ოჩხიკიძე – მცირე არქიტექტურული ფორმების როლი ლანდშაფტურ დიზაინში _____	118
ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე – ეკოლოგიური კრიზისი და მისი შედეგები _____	123
მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი – კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგია	130
ნანა ქათამაძე – ხილის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური შრობა _____	137
ქეთევან ქუთელია – ყვავილნარი ყვავილების გარეშე _____	142
ქეთევან ქუთელია – ბონსაის ხელოვნება _____	146
მამუკა წიქორიძე – ატომური ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში _____	151

მანანა კობახიძე, პაპუნა კუპრაშვილი – სამედიცინო ტურიზმი და საქართველო _____	157
სერგო ცაგარეიშვილი, მანანა კობახიძე – ისტორიულ-რომანტიკული ტური ქუთაისში _____	161

ეთერ ბენიძე, გიორგი კილაძე – მცენარეების მნიშვნელობა დასახლებული ტერიტორიების ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაში _____	173
Kopalian Lia, Kiladze Giorgi, Ekaterine Arveladze, Liana Gogelia – Resort "Dzughuri" (source of immortality) its natural diversity, healing properties and the possibility of tourism development _____	181
Roza Lortkipanidze, Natalia Santeladze – Greenhouse gas emissions in Georgia's agroecological environment _____	184
აკაკი ნასყიდაშვილი – მთიანი აფხაზეთის ბუნება _____	186
ნინო მოწინიძე – მდინარე ხანისწყლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუჩქნარ-ბალახოვანი მცენარეულობა _	193
ქეთევან ჩიქვინიძე, ნინო მარგველაშვილი – რიდონეტით გამოწვეული ფიზიოლოგიური და გენეტიკური ცვლილებები სოიას ტესტ სისტემაში _____	197
მაია ხელაძე – წყლის რესურსების დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და შედეგები _____	207
გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი _	212
Prominent Georgian Scientist, Constructor, pedagogue _____	217

2 **06Մ06ՉԹՈԾ** **ENGINEERING** **ИНЖИНИЕРИЯ**



ეკოლოგიური კრიზისი და მისი შედეგები

ცირა ჟორჟოლიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, საქართველო, ქუთაისი

ემზარ გორდაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, საქართველო, ქუთაისი

ეკოლოგიური კრიზისი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა, რომელიც ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, დემოგრაფიული, "აფეთქების" თანამდევი პროცესია ეს პრობლემა მან არსებობის შორეული წარსულიდან დაიწყო, როდესაც ადამიანმა თავის გადასარჩენად ხელი მოჰკიდა ცხოველთა მოპოვებას, ნიადაგების დამუშავებას, მცენარეთა საფარის განადგურებას, ეს პროცესები მიდიოდა ნელა, შეუმჩნეველად და შეუწყვეტლად. ამ პრობლემამ მწვავე ხასიათი მიიღო მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან. ეკოლოგიური კრიზისი გლობალური პროცესია, რომელიც ბუნებრივი პირობების და მთლიანად ბიოსფეროს არახელსაყრელი ცვლილებაა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დედამიწაზე არსებული სიცოცხლის ფორმების შენარჩუნებას. აღნიშნული საკითხის გადაჭრა რთულია, მაგრამ აუცილებელი, რადგან იგი ადამიანისა და მისი საარსებო გარემოს შენარჩუნების მნიშვნელოვანი პირობაა.

***საკვანძო სიტყვები:** კრიზისი, დემოგრაფიული აფეთქება, ურბანიზაცია, პროდუცენტების, კონსუმენტების, რედუცენტების კრიზისი, საშიში ნარჩენები, ეკოლოგიურად აგრესორი ქვეყნები, ეკოლოგიური ტერორიზმი.*

21-ე საუკუნე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ურბანიზაციისა და დემოგრაფიული „აფეთქების“ საუკუნეა. აღნიშნული პროცესი ადამიანთა, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის ახალი სტადიაა, რომლის დროსაც ადამიანს გარემოზე ზემოქმედების განუზომელი შესაძლებლობები აქვს, რის გამოც პირველყოფილმა გარემომ დედამიწის მთელ რიგ რეგიონებში იცვალა სახე, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა კლიმატზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე, ლანდშაფტების იერ-სახეზე, ნიადაგების ეროზიაზე, მთელ ბიოსფეროსა და მის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე

„კრიზისი“ ბერძნული სიტყვაა და განსხვავებულის, არაორდინალურის, მკვეთრი ცვლილების სინონიმია. კრიზისი მრავალი სახისაა, რომელიც შეიძლება იყოს პოლიტიკაში, მეცნიერებაში, საერთაშორისო ურთიერთობებში, მედიცინაში, ფსიქოლოგიაში (ადამიანური), ბუნებაში, მის ეკოლოგიურ მდგომარეობაში და სხვადასხვა სფეროში.

ეკოლოგიური კრიზისი გარემოში ანთროპოგენური ფაქტორით გამოწვეული, შექმნილი სიტუაციაა, რომლის დროსაც პროგრესულად ირღვევა ეკოსისტემაში შექმნილი ბუნებრივი წონასწორობა, რომელიც არა მარტო საზოგადოების ზემოქმედებაა გარემოზე, არამედ ამ პროცესის მიერ შეცვლილი გარემოს ზემოქმედებაა საზოგადოების ჯანმრთელობაზე, მის შრომისუნარიანობაზე, მის შემდგომ განვითარებაზე, მსოფლიოს ეკონომიკაზე და სხვა პროცესებზე. 1971 წ. აკად. კოვდა აღნიშნავდა, რომ ეკოლოგიური კრიზისი ჯერ-ჯერობით არ შეიმჩნევა, თუმცა თუ სათანადო ღონისძიებებს არ მიიღებ-

დნენ გარემოს მდგომარეობის გამოსასწორებლად იგი შეიძლება გადაზრდილიყო კრიზისულ მდგომარეობაში. 30 წლის შემდეგ გლობალური ეკოლოგიური კრიზისი სახეზე იყო დედამიწის მთელ რიგ რეგიონებში.

თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისთან დაკავშირებული პრობლემები პირველად განხილული იყო 1972 წ. ქ. სტოკჰოლმში, გარემოს პრობლემების საერთაშორისო კონფერენციაზე. კრიზისი საშიშია იმ მხრივაც, რომ ზემოაღნიშნულ პრობლემებთან ერთად იგი იწვევს ეკონომიკური კავშირებისა და ურთიერთობების მოშლას, რასაც თან სდევს მოსახლეობის ფართო ფენების, ბიზნესის, მეწარმეების ცხოვრების დონის გაუარესება, უმუშევრობა და სხვა უამრავი არახელსაყრელი პრობლემები, რომლის გადასაწყვეტად საჭიროა დიდი ძალისხმევა, რადგან იგი გლობალური პროცესია, რომელიც იწვევს გარემოს თვისობრივ შეცვლას და საშიშროების ქვეშ აყენებს კაცობრიობის არსებობას. დღეს არცერთ ქვეყანას არ შეუძლია გულგრილად უყუროს იმ პროცესებს, რომელიც დედამიწაზე ხდება: შიმშილი, საკვების უკმარისობა გაბინძურებული ჰაერი, წყლები, ეროზირებული ნიადაგები დასაღუპავად განწირული ტყეები, გამქრალი ცხოველთა და მცენარეთა სახეები. ამ პროცესებში ბუნებრივ მოვლენებთან ერთად ამ პროცესებში აქვს ანთროპოგენურ ზემოქმედებას. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულია იმ თვალსაზრისით, რომ პლანეტის რომელიმე წერტილში გარემოს გაბინძურება ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევით ემუქრება მეზობელ, ზოგჯერ საკმაოდ დაშორებულ რეგიონებსაც რადგანაც მათ შორის არ არსებობს საზღვარი, რომელიც შეაკავებდა გაბინძურებული ჰაერისა და წყლის მასებს (ტრანსსაზღვრო გადაადგილება). განვითარებული ქვეყნების ფაბრიკა-ქარხნების, ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვების ტოქსიკური ნივთიერებები იმ ქვეყნის ტერიტორიებსაც აბინძურებენ, რომლებსაც ნაკლებგანვითარებული მრეწველობა აქვთ ან მაღალტექნოლოგიებს ვერ ფლობენ, თუმცა დღეს გარემოს გამაბინძურებელი არა მარტო მაღალინდუსტრიული ქვეყნებია, არამედ ბევრი განვითარებადი ქვეყანაც (ჩინეთი, ინდოეთი, ჩრდილო კორეა და სხვ), რომლებიც გაბინძურებულ ნივთიერებათა რაოდენობით უტოლდება ინდუსტრიულ ქვეყნებს.

ეკოლოგიური კრიზისის დაწყების პრიმიტიული პროცესად შეიძლება ჩაითვალოს ის პროცესი, რომელიც აიძულებდა ადამიანთა საზოგადოებას დაეტოვებინათ ძველი საცხოვრებელი ადგილი და გადასულიყო იქ, სადაც მისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსებს მეტი რაოდენობით მოიპოვებოდა. ეკოლოგიური კრიზისის პირველმა ნაბიჯებმა საზოგადოების განვითარებაში პროგრესული როლი შეასრულა, რადგან კრიზისი აიძულებდა ადამიანს, ეპოვა არსებობისა და შემდგომი განვითარების გზა. ასეთმა პროგრესულმა გზამ განაპირობა ის რომ, საზოგადოება საჭირო საარსებო საშუალებების მოგროვებითი მოპოვებიდან თანდათან, ნელ-ნელა გადასულიყო მატერიალური დოვლათის მწარმოებლურ სტადიაზე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ადამიანმა ეკოლოგიურ კრიზისს სათავე დაუდო არა მარტო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, არამედ ჯერ კიდევ ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბების მომენტიდანვე. მეცნიერთა აზრით პირველი ეკოლოგიური კრიზისი დაკავშირებული იყო მსხვილფეხა ცხოველების მასობრივ განადგურებასთან, ის წარმოადგენდა შიმშილისაგან დაცვის აუცილებელ პირობას, რომელიც დაიწყო დაახლოებით 10-50 ათასი წლის წინ, რამაც გა-

მოიწვია დიდი ზომის მუშუმწოვრების (მამონტების, მასტოდონტების, მღვიმის დათვების, გიგანტური ირმების, ზოგიერთი სახის ცხენების, აქლემების და მაიმუნების) განადგურება. ეს ეტაპი „კონსუმენტების (ცხოველების) კრიზისის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ეკოლოგიური კრიზისის ადგილი აქვს, მაშინ, როდესაც გარემო, სადაც ცხოვრობენ სახეობები, პოპულაციები, განიცდიან ცვლილებებს, რომელიც საფრთხეს უქმნის მის უწყვეტობას. ცხოველთა სახეების გადაშენება, რომელიც რამდენიმე ათასწლეულის წინ დაიწყო, დღესაც გრძელდება. ცხოველთა სწრაფი განადგურება, რომელიც ჯერ კიდევ მეზოზოურ ერაში დაიწყო გრძელდებოდა და გრძელდება დღესაც კაინოზოურ ერაში. 1600 წლიდან ეს პროცესი ინტენსიურად დაიწყო და ადამიანთა პოპულაციის ზრდის პარალელურად მიმდინარეობდა. ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) მონაცემებით 1600 წლიდან დღემდე დედამიწაზე განადგურდა მუშუმწოვრების 86, ფრინველების - 128 ქვეწარმავლების - 21, ამფიბიების - 5, თევზების - 80, მწერები - 72, კიბოსნაირების - 8, მრავალპირიანების 1 სახე. ზოგი ავტორის მონაცემებით ყოველდღიურად დედამიწაზე იკარგება 1 სახის ცხოველი, ყოველკვირეულად 1 სახის მცენარე. ზოგიერთი ავტორის მიხედვით ყოველკვირეულ და 50-150 სახე ისპობა. IUCN -ის მონაცემებით დღეს დაახლოებით 500 სახის ცხოველს და 6700 სახის მცენარეს გადაშენების საფრთხე ემუქრება.

მეორე ანუ შემდგომი კრიზისი დაიწყო რამდენიმე ასეული წლის წინ, რაც განპირობებული იყო მოსახლეობის რაოდენობის ზრდით. საბინადრო გარემოსა და საკვების მოსაპოვებლად ადამიანებმა ხელი მოჰკიდეს მიწათმოქმედებას, მოსავლის მოყვანისათვის დაიწყეს ტყეების გაკაფვა, მათი გადაწვა, რის გამოც ჩანაგდებოდა ასეულებით ჰა ტყე. მასიურად გაიჩეხა მცენარეული საფარი ჩინეთში, ხმელთაშუა ზღვის აუზში, მექსიკაში, სირიაში, პალესტინაში, ირანსა და სხვა მრავალ ქვეყნებში. რომის იმპერიის დროს ევროპის 9/10 გაუვალ ტყეებს ეკავა, პირველადი და კლიმაქსური ტყეები 170 მლრდ. ჰა-ზე იყო, დღეს ეს ტყეების მხოლოდ 17-18 მლნ ჰა-მდეა. ტყეები დღესაც უმოწყალოდ ნადგურდება ჩინეთში, აქ კლიმაქსურ ტყეებს მხოლოდ 10 ჰა უჭირვათ. მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მცენარეთა საფარი 50%-ით შემცირდა. ეს კრიზისი პროდუცენტების (მცენარეების) კრიზისის სახელწოდებით არის ცნობილია.

შედარებით ახლო წარსულში ტექნიკურ პროგრესთან და ანთროპოგენური ფაქტორის გაძლიერებასთან ერთად, ეკოლოგიური კრიზისის უფრო შესამჩნევი გახდა, რომელმაც თანდათან გლობალური სახე მიიღო. ბუნებრივ, რესურსების მტაცებლურმა, არარაციონალურმა გამოყენებამ გავლენა მოახდინა ბუნების თითქმის ყველა კომპონენტზე, მიწების გაუდაბნობასა და მათ ნაყოფიერებაზე, ტყეების გაჩნაგებაზე, ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს დაბინძურებაზე, სახეთა მრავალფეროვნების შემცირებაზე, ნარჩენების რაოდენობის გაზრდაზე. დღეს გადამუშავებული ნედლეულის 90-95% ნარჩენებზე, მოდის. სასარგებლო კოეფიციენტი მხოლოდ 5-10%-ია. ნარჩენების ყოველწლიური რაოდენობა 80-დან 130 მლნ ტ, რომელიც დიდ ტერიტორიებს იკავებს. ნარჩენების დიდი უმრავლესობა „საშიშ ნარჩენებს“ მიეკუთვნება. დღეს ასეთი ნარჩენების ბიოდეგრადაცია ძალზე შენელებული ტემპით მიმდინარეობს, რადგანაც მათი უმრავლე-

სობა ქსენობიოტიკებია (უცხო ნივთიერებები), რომელთა დამშლელი ორგანიზმები ბუნებაში არ არის. მდგომარეობა იმითაცაა გართულებული, რომ „ეკოლოგიურად აგრესორი ქვეყნების“ მიერ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე სულ უფრო იზრდება მავნე, შხამიან ნივთიერებათა განთავსების ტემპი. „ეკოლოგიურად აგრესორ“ ქვეყნებად მოიაზრება არა მარტო ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები, რომლებიც აბინძურებენ მოსაზღვრე ქვეყნების საჰაერო აუზსა და წყალსატევებს, არამედ განვითარებადი ქვეყნებიც, რომლებიც დღეს ინდუსტრიალიზაციის გზაზე დგანან, მათი ტექნოლოგიური პროცესების დაბალი დონის გამო მავნე ნივთიერებებით აბინძურებენ მეზობელ ქვეყნებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამის კარგი მაგალითია ჩინეთი, ინდოეთი, ჩრ. კორეა, ლათინური ამერიკის ქვეყნები და სხვ. დღეს ამ ქვეყნებში ეკონომიკა იწყებს „აყვავებას“ მაგრამ სიღარიბის გამო მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა „უგულვებელყოფილია“. ეს სახელმწიფოები თავს არ ივალდებულებენ ხელი მოაწერონ იმ ვალდებულებებს, რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვას იმ მავნე ნივთიერებებისაგან, რომელიც საწარმოებიდან ხვდება გარემოში. ეკოლოგიური კრიზისის მესამე ეტაპი ცნობილია **რედუცენტების (დამშლელების) კრიზისის** სახელწოდებით, რომელიც გულისხმობს იმ პრობლემის არსებობას, რომელიც განპირობებულია მავნე ნივთიერებების დამშლელი ორგანიზმების – რედუცენტების არ არსებობით, რაც ნარჩენების დიდი რაოდენობით დაგროვებას იწვევს ბუნებაში.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ინდუსტრიალიზაციის ტემპებიდან გამომდინარე დღეს კიდევ უფრო გამწვავებულია ეკოლოგიური კრიზისი, რადგან იგი ბუნებრივი რესურსების სულ უფრო მეტი რაოდენობის ჩართვას მოითხოვს საწარმოო პროცესებში.

„დემოგრაფიული აფეთქება“ ეკოლოგიური კრიზისის გამწვავების ერთ-ერთ მიზეზია, რომელიც პირდაპირ დაწოლას ახდენს ბუნებრივი რესურსების რაოდენობასა და გარემოს ჰიგიენური მდგომარეობაზე. ფრთხილი გათვლებით 2030 წლისათვის ადამიანთა რაოდენობა 9 მლრდ–ს მიაღწევს, გამრავლების ეს ტემპი ძირითადად განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაზე მოდის. პროგნოზით ეს ქვეყნები უფრო მეტად დააბინძურებენ გარემოს, ვიდრე იაპონია, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და აშშ ერთად აღებული. ამას ხელი შეუწყო განვითარებული ქვეყნებიდან რიგი საწარმოების გადატანამ განვითარებად ქვეყნებში, ასევე ქიმიური და რადიაქტიური ნარჩენების განთავსებამ განვითარებადი ქვეყნების ტერიტორიაზე, როგორც გარკვეული შეთანხმებით (მიზერული თანხის საფასურად), ასევე არალეგალური გზით (ე.წ. "ეკოლოგიური ტერორიზმით"), რომელიც გულისხმობს ყოველგვარი შეთანხმების გარეშე სხვის ტერიტორიაზე გამაბინძურებელი ნივთიერებებს მალულად განთავსებას.

კაცობრიობა და სხვა ცოცხალი არსებები დედამიწის ეკოსისტემის სისტემის განუყოფელი ნაწილია. თუ ეკოსისტემაში არსებული ურთიერთობები დაირღვა დედამიწა აღარ იქნება ადამიანთა არსებობისათვის შესაბამისი ადგილი, რადგან გარემოს განუწყვეტელი დაბინძურება, მისი რესურსების არაგონივრული გამოყენება, საბოლოოდ დედამიწას დაუსახლებელ კოსმოსურ სხეულად აქცევს. განვითარებულ ქვეყნებში გარემოს გაბინძურებასთან დაკავშირებული საკითხები დღის წესრიგში დგას, რაც საშუალებ-

ბას აძლევს ამ ქვეყნებს შეამცირონ გამონახობა, იპოვონ გზები, ახალი ტექნოლოგიები, რომელიც ზიანის მომტანი არ იქნება, არც გარემოსა და არც ადამიანისათვის.

საქართველო მსოფლიოს გეოგრაფიული ნაწილია, ეკოლოგიურ კრიზისსა და მის გამოვლენებს აქაც აქვს ადგილი. საქართველოს დღეს ინდუსტრიული ქვეყნის სტატუსი არა აქვს და გლობალურ დამაბინძურებელ ქვეყანათა სიაშიც არ არის, თუმცა ქვეყნის ქალაქებში არსებული მცირე საწარმოები, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა გარკვეულ გავლენას ახდენს გარემოს გაბინძურებაზე, რამაც დროთა განმავლობაში შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს ქვეყანას.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის გაბინძურება ძირითადად ავტოტრანსპორტითაა გამოწვეული. ჰაერში გამონახობა ნივთიერებები ასეთ სურათს იძლევა: CO₂ - 87%, NO_x - 70%, SO_x - 50% აქროლადი ორგანული ნაერთები 40%. ქვეყანაში რეგიონების მიხედვით ადგილი აქვს წყლის რესურსების ნაკლებობასა და მის სისუფთავის პრობლემებს, საბინაო მშენებლობის უკონტროლო და შეუწელებელ ტემპს, რომელიც ჰაერის გაბინძურებასთან ერთად იწირავს მწვანე ნარგავებს. მნიშვნელოვანი პრობლემაა გიგანტური ჰესების მშენებლობის საკითხიც (გეგმით 150 ასეთი ჰესის მშენებლობაა დაგეგმილი). აღნიშნული პრობლემები საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, კლიმატს არსებულ მცენარეულ საფარს რაც იწვევს მის შეცირებასა და ადგილობრივი ჯიშების გაქრობას, ნიადაგების დატბორვას, მოსახლეობის მიგრაციას და მთელ რიგ სხვა პროცესებს, რომელიც ეკოლოგიური კრიზისის ელემენტების შემცველია.

ამრიგად, ეკოლოგიური კრიზისი გლობალური პროცესია, რომელიც ბუნებრივი პირობების, ცოცხალი ორგანიზმებისა და პლანეტის ბიოსფეროს არახელსაყრელი ცვლილებაა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობას.

დღეისათვის მრავალი მექანიზმის არსებობს, რომლითაც შესაძლებელია კაცობრიობამ თავიდან აიშოროს ის საშიშროება, რომელიც თან ახლავს ეკოლოგიურ კრიზისს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

- ბუნებრივი რესურსების გონიერი და რაციონალური გამოყენება;
- ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა;
- ბრძოლა გარემოს მზარდი გაბინძურების წინააღმდეგ;
- მოსახლეობის ზრდის ტემპის დარეგულირება, ამ მიმართულებით არსებული მექანიზმების ფრთხილი და გონივრული გამოყენება;

- სოფლის მეურნეობაში თანამედროვე და მოწინავე ტექნოლოგიების დანერვა, რომელიც ხელს შეუწყობს ნიადაგების მოსავლიანობის გაზრდას, მის დაცვას ეროზიისა და გაუდაბნობისაგან.

- ახალი ტერიტორიების ათვისება, სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისა და სასურსათო პროდუქტები რაოდენობის გაზრდის მიზნით.

- გარემოს დაცვითი მიმართულებით მოსახლეობის ცნობიერების საერთო დონის ამაღლება.

- კაცობრიობის გამოფხიზლება გარემოს ეკოლოგიური კრიზისისაგან დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი განვითარების მისაღწევად.

დღეს კაცობრიობის დაცვა ეკოლოგიური კრიზისისაგან და მისგან გამოწვეული კატასტროფებისაგან კაცობრიობას აიძულებს იბრძოდოს ორ ფრონტზე 1. არ შეაჩეროს სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი; 2. დაიცვას ბუნებაში ის ეკოლოგიური წონასწორობა, რომელიც მილიონი წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. აღნიშნული მიმართულებით ბრძოლა მრავალ პრობლემას აწყდება, მაგრამ მისი გადაჭრა ადამიანის ჯანმრთელობის, და მისი საარსებო გარემოს შენარჩუნების აუცილებელი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ც. ჟორჟოლიანი, ე. გორდაძე, - ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, 2010 წ. ქუთაისი.
2. ც. ჟორჟოლიანი, ე. გორდაძე, - კონსერვაციული ბიოლოგია, საქართველოს დაცული ტერიტორიები, 2013 წ. ქუთაისი.
3. ც. ჟორჟოლიანი ე. გორდაძე, – სამედიცინო ეკოლოგია 2008 წ, ქუთაისი.
4. ც. ჟორჟოლიანი ე. გორდაძე, – ურბანიზებული ქალაქების ეკოლოგიური მდგომარეობა. საერთაშორისო კონფერენცია 2018 წ.
5. ც. ჟორჟოლიანი, ე. გორდაძე, – ქალაქი, გარემოს გაბინძურებისა და ფსიქოეკოლოგიური დისკომფორტის ეპიცენტრი. საერთაშორისო კონფერენცია 2010 წ.

Ecological Crisis and Its Consequences

Tsira Zhorzholiani

Akaki Tsereteli State University, Associate Professor

Emzar Gordadze

Akaki Tsereteli State University, Associate Professor

The ecological crisis is the accompanying processes of industrialization, urbanization and demographic explosion. However, this process began as early as when man resorted to harvesting animals, cultivating soils and destroying plants for their own survival. Ecological crisis is a global process, which is an unfavourable change of the entire biosphere, which calls into question the preservation of life forms on Earth.

Keywords: "crisis", urbanization, demographic explosion, consumers, producers, reducers, hazardous waste, ecological terrorism

Ecological crisis is a situation caused (created) by an anthropogenic factor in the environment, during which the natural prerequisites in the ecosystem are progressively violated, which is not only the impact of society on the nature, but also the impact of the environment changed by this process, human health, life expectancy, world economy and other important processes. The ecological crisis is accompanied by the pollution of the water and atmospheric air, soil erosion, forests are chopped and animal species die. There are anthropogenic and climatic anomalies, chemical and physical changes of the earth's surface. At any point of the planet, environmental pollution threatens not only those countries that worsen the ecological condition of the environment, but also neighbouring and sometimes quite distant countries, where toxic substances emitted from factories and transport spread. Today, both developed and developing countries (China, India, North Korea, Latin Africa) and others are experiencing ecological crisis.

The ecological crisis began not only with the scientific and technological revolution, but also when people began to destroy large animals. It was a necessary condition for protecting the population from starvation by death (10-50 thousand years ago), which led to the extinction of large mammals. This stage is known as "Consumer Crisis". The second crisis began a few hundred years ago, due to the gradual increase in the number of people, which led people to turn to agriculture, which resulted in the destruction of thousands of hectares of cultivated plants. This crisis is known as the Producer Crisis.

In the recent past, due to the effect of technical progress and the anthropogenic factor, the ecological crisis became more noticeable. Along with many other problems, the process of industrialization was accompanied by the accumulation of waste. 130 billion tons annually. These are the dangerous wastes that the reducers can no longer degrade, because these wastes are xenobiotics that are foreign to the reducers. This crisis is called the Crisis of Reductants.

As we mentioned, one of the causes of the ecological crisis is the demographic explosion. It directly affects the amount of natural resources and the hygienic condition of the environment. According to very careful calculations, the number of people on earth by 2030 (if the increase continues at the current rate) will reach 9 billion. This rate of increase comes mainly from developing countries. These countries are predicted to pollute the environment more (China, India, North Korea, African and Latin American countries) than today's industrialized countries. This, along with other processes, was facilitated by the export of a number of industrial enterprises to these countries, as well as the development of toxic chemical and radioactive waste on the territories of these countries, at a pittance (so-called ecological terrorism).

Georgia is a geographical part of the world, therefore there is a danger of an economic crisis here too, although today our country does not have an industrial status. Small enterprises, transport, agriculture in the cities of the country affect the ecological state of the environment. Air pollution in the country gives the following picture: CO 87%, NO_x - 70%, SO_x - 50%, volatile organic substances 40%. There is also a lack of water resources and problems of its purity in the country; Uncontrolled and unrelenting pace of housing construction, which, along with air pollution, burns green plants. The construction of giant hydroelectric power plants is also an important problem (according to the plan, 150 hydroelectric power plants are planned to be built in such a small country). These problems pose a threat to the population, the climate, existing plant and animal biodiversity, which leads to the reduction of the latter and the disappearance of local breeds, soil flooding, population migration and a number of problems that contain elements of an ecological crisis.

The modern ecological crisis is caused by the predatory, irrational use of natural resources, due to which many regions of the world today are facing the danger of depletion of their stocks due to the reduction of natural resources. The current crisis situation questions the fate of humanity.

In modern conditions, there are many mechanisms that allow to avoid the dangerous situation that accompanies the ecological crisis. In particular:

- Reasonable, rational use of existing natural resources;
- Perfection of technological processes;
- Fighting against growing environmental pollution;
- Regulation of population growth rate;
